საბჭოური პოლიტიკა და საქართველო ახალ სივრცეში

(1921-1991)

პროექტის რეზიუმე

პროექტის მიზანს წარმოადგენს საბჭოური პოლიტიკის ანალიზის ფონზე საქართველოს რელიგიური და ეროვნული უმცირესობების, ეროვნული მოძრაობის და ეროვნული იდენტობის საკითხების შესწავლა. პროექტში სხვადასხვა ეროვნული იდენტობრივი მახასიათებლების საფუძველზე, სხვადასხვა სოციალური ფენების თუ ჯგუფების როლის შეფასების და შესწავლის ფონზე, წარმოდგენილი იქნება ქართული გარემო 1900-1921 წლებში. თანამედროვე ეპოქამ მრავალი საკითხის, პრობლემის ახლებური გადააზრება დააყენა დღის წესრიგში. წარსულის, ისტორიის საფუძვლიანი შეფასებისთვის მოვლენათა კომპლექსური ანალიზია საჭირო. საბჭოთა სისტემა და მის სივრცეში მყოფი საქართველოს საკითხი კი ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. ყოველ ეპოქას თავის გამოწვევა და ტენდენცია გააჩნია. წლების, საუკუნეების მანძილზე იცვლება და ყალიბდება ახალი იდეოლოგიები. იცვლება ისტორიული მოვლენებისადმი დამოკიდებულება, შესწავლა-შეფასების სტილი. დღევანდელი ისტორიული მეცნიერების გამოწვევა არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების კვლევა, არამედ სხვადასხვა სახის წყაროთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე მოვლენათა კომპლექსური შესწავლაა. საბჭოური პოლიტიკის შეფასება და ამ ახალ განზომილებაში საქართველოს ადგილის განსაზღვრა მხოლოდ ისტორიის გაბმული თხრობა არაა,არამედ ძირითადი, კონკრეტული და მასშტაბური მოვლენების გამოვლენა და ანალიზი. 1921-1991 წლებში განვითარებული მოვლენები, მათი ცალკეული მხარეები არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი სპეციალური ლიტერატურა არსებობს, თუმცა დრო გარკვეულ რედაქტირებას უკეთებს სამეცნიერო ლიტერატურას, იცვლება საკითხისადმი მიდგომა, პრობლემათა შესწავლა-შეფასების ტენდენციები და გარკვეულ ეტაპზე საჭიროება მოითხოვს ისტორიის გადააზრებას და დროის ლაბირინთებში მიმალული ფაქტების სააშკარაოზე გამოტანას. პრობლემის აქტუალობა, სირთულე და მრავალმხრივობა თავიდანვე განსაზღვრავს საკითხისადმი სწორ და მიზანმიმართულ მიდგომას, რასაც შედეგად უნდა მოყვეს არა მხოლოდ ურიცხვი მასალის შეკრება და ერთად თავმოყრა, არამედ შეფასება, მსჯელობა, შესწავლა და საბოლოო შედეგამდე მისვლა. აქედან გამომდინარე, პროექტის ძირითადი მიზანი იქნება: არა მხოლოდ დოკუმენტური მასალის სააშკარაოზე გამოტანა, არამედ პრობლემათა, იდეათა ანალიზი სხვადასხვა სახის წყაროთა ბაზის გათვალისწინებით. ამ ფონზე აუცილებლობას წარმოადგენს იმის განსაზღვრა და შეფასება თუ როგორ ხვდება ახალ სივრცეში შესვლას სხვადასხვა სოციალური ფენა თუ

ჯგუფი, ეროვნული და რელიგიური უმცირესობა. რა ფორმით გამოიხატებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესი და როგორ პასუხობდა საქართველო მის წინაშე დამდგარ ახალ გამოწვევებს. მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალკეული სოციალური ფენების საკითხების შესწავლას გარკვეული ადგილი უკავია, თუმცა პროექტში კომპლექსურად იქნება წარმოდგენილი თითოეული კატეგორია და რაც მთავარია, არსებული გამოკვლევებისაგან განსხვავებით, კვლევა მიმართული იქნება საზოგადოებრივ აღქმებზე. კერძოდ, როგორ აღიქვამდა ესა თუ ის ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობა, სოციალური ფენა თუ ჯგუფი თავს საქართველოს ნაწილად. პროექტში შესწავლილი იქნება საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც თავის მხრივ პერიოდებად დაიყოფა. პირველად იქნება წარმოჩენილი სხვადასხვა სოციალური ფენების პოზიცია განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ბრძოლის ლეგალური და არალეგალური ფორმები, შენიღბული მოძრაობა, იატაკქვეშეთი, დისიდენტური პოზიციის ევოლუცია. ცალკე ადგილი დაეთმობა საქართველოში მცხოვრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობის როლს, მათ პოზიციას საერთო ქართული საქმის გათავისებაში. შეფასებული იქნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი აღნიშნული მოძრაობისადმი. გაანალიზდება ქართული ემიგრაციის პოზიციისა და მონაწილეობის ფორმები ანტისაბჭოთა მოძრაობაში. გამომზეურდება იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. ნაჩვენები იქნება ხელისუფლების ბრძოლის ხერხები და მეთოდები ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, სპეცსამსახურების საქმიანობა, რეპრესიები.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი.

ძირითადი პერსონალი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შოთა ვადაჭკორია

ისტორიის დოქტორი ნატო სონღულაშვილი